სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

05 / აგვისტო / 2024 წ.

KARR0177357030324

№ **04/1130**

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების
პრივატიზების დეპარტამენტის
უფროს ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენს მიერ 2024 წლის 5 ივლისს №6/38041 (რეგისტრირებული დოკუმენტის ნომერი № 1017/21 თარიღი: 08.07.2024) წარმოდგენილი მომართვა, რომელიც ეხება, ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე დაურეგისტრირებელი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 147 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვას.

აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ დაურეგისტრირებელი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 147 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად მდებარეობს საკურორტო ზონა 2 (შზ7)-ში.

დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარება კონფიგურაციისა და ფართობიდან გამომდინარე ვერ განხორციელდება, ვინაიდან საკადასტრო კოდით 26.01.45.011 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი რჩება მისასვლელი გზის გარეშე. 147 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მხოლოდ, მის მომიჯნავედ არსებული საკადასტრო კოდებით 26.01.45.303 და 26.01.45.011 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შემდგომ, ფუნქციური ზონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე